გადაწყვეტილება:**g63. 6324018001**
თარიღი:**18/01/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 27-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ,,ბ'' ქვეპუნქტისა და ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N6 დადგენილების, მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,გ'' ქვეპუნქტის და 26-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, განიხილა **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო** გეგმის დამტკიცების საკითხი და

გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს, **სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო** გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.
2. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (სამტრედია, ძმები ნინუების ქუჩა N1), ერთი თვის ვადაში.

დანართი N1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის 2024 წლის სამოქმედო გეგმა.

1. 2024 წლის, სამტრედიის მუნიციპალიტეტში საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სამუშაო გეგმის განხილვა-დამტკიცება (იანვარი).
2. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის სამუშაო გეგმის განხილვა და ანალიზი. (თებერვალი).

3. სამტრედიის მუნიციპალიტეტში 2024 წლის საპრივატიზაციო ნუსხისა და გეგმის განხილვა (თებერვალი).

4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის შესახებ, დადგენილების პროექტის განხილვა და ანალიზი. (1 მარტამდე).

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის ფორმირებასთან დაკავშირებით წინადადებების შემუშავება (მაისი).

6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების მიერ 2024 წლის 6 თვეში გაწეული მუშაობის ანგარიშის მოსმენა (ივლისი, აგვისტო, სექტემბერი).

7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის და პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა. (ნოემბერი).

3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი